თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4169811

ნომერი: AR1630640

თარიღი : 14.09.2018

გაცემის თარიღი : 14.09.2018

გაცნობის თარიღი : 14.09.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ერეკლე II , N 4/10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მესტუმრიშვილი პ/ნ 01015016144
- თბილისი ერეკლე II ქ. N 6

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

## გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 10 აგვისტოს №AR1630640 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, ერეკლე II ქუჩა, №4/10-ში № 01.18.03.046.008 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად ნებართვის მიღების საკითხთან დაკავშირებით

ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართულობას..

პასუხად გაცნობებთ, 2018 წლის 7 აგვისტოს №AR1621566 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართეს მოქალაქეებმა გიორგი გეგელიამ და ოზგურ დურდაბაქემ და მოითხოვეს ქ. თბილისში, ერეკლე II ქ. N4/10-ში (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი) არსებულ შენობაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად მშენებლობის ნებართვის გაცემა, დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე მშენებლობის ნებართვის გაცემა არ მომხდარა.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ- გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით.

ამასთან განგიმარტავთ, იმისათვის რომ დაცული იქნას როგორც ნებართვის მაძიებლის, ასევე იმ პირების ინტერესები, რომელთა კანონით დაცულ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სამშენებლო სამუშაოები, საჭიროა თქვენს მიერ წარმოდგენილი „შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტი“-ზე ნათლად და გარკვევით დაფიქსირდეს რატომ ეწინააღმდეგებით კონკრეტულ სამშენებლო სამუშაოებს. (რა ნორმებს ეწინააღმდეგება შესათანხმებელი სამშენებლო სამუშაოები) და რა ზიანი შეიძლება მოგადგეთ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებით. საჭიროების შემთხვევაში ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას თქვენს მიერ დაფიქსირებული გარემოებების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

სამსახური მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების თაობაზე წარმოდგენილი კონკრეტული განცხადების განხილვისას, განიხილავს ამ ობიექტთან დაკავშირებით თქვენ მიერ წარმოდგენილ შეტყობინებასაც, ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების გარეშე. რის შედეგადაც სამსახური მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას ყველა დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge